ბრძანება

№____01-04/57_____

05.08 2020 წ.

უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის წევრობიდან გათავისუფლებისა და „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 25 მაისის №01-04/32 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 25 მაისის №01-04/32 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის უნივერსიტეტის რექტორის მიერ დანიშნულმა წევრმა, უნივერსიტეტის პროფესორმა მაყვალა ფრუიძემ გაცხადებით მომართა ადმინისტრაციას და მოითხოვა ეთიკის კომისიის წევრობიდან გათავისუფლება, რასაც ითვალისწინებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგელობითი საბჭოს 2016 წლის 23 თებერვლის №61 დადგენილებით დამტკიცებული ეთიკის კოდექსის 21-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის წევრობიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია პირადი განცხადება.

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, უნივერსიტეტის ეთიკის კომისია უნდა შედგებოდეს 5 წევრისაგან. შესაბამისად, აუცილებელია ქალბატონ მაყვალა ფრუიძის, როგორც უნივერსიტეტის რექტორის მიერ დანიშნული წევრის, გათავისუფლებისას უნივერსიტეტის რექტორმა დანიშნოს ახალი წევრი. ქალბატონ მაყვალა ფრუიძის ნაცვლად ეთიკის კომისიის წევრობა შეეთავაზა უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ბატონ გიორგი გაბუნიას, რომელმაც დააფიქსირა თავის წერილობითი თანხმობა ეთიკის კომისიის წევრობაზე.